FRONTEX / EURP ევროკავშირის რეინტეგრაციის პროგრამა (ეკრპ)

რეინტეგრაციის დახმარება მიგრანტებისთვის

Frontex რეინტეგრაციის ერთობლივ მომსახურებათა ფარგლებში

ქართული ვერსია

თქვენი დახმარება ჩვენი მიზანია

რა უპირატესობა აქვს ნებაყოფლობით დაბრუნებას?

გვესმის, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება შეიძლება რთული იყოს. ჩვენ თქვენ გვერდით ვართ. ჩვენ დაგეხმარებით მგზავრობისთვის მზადების პროცესში და გაგაცნობთ იმ შესაძლებლობებს, რაც დაბრუნებისას გექნებათ.

თუ გადაწყვიტეთ, რომ ნებაყოფლობით დაბრუნდეთ ან მიიღეთ დაბრუნების გადაწყვეტილება წევრი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებისგან, შეიძლება აკმაყოფილებდეთ თქვენს სამშობლოში საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში დახმარების მიღების წინაპირობებს. ევროპული სახმელეთო და საზღვაო საზღვრების სააგენტო Frontex-მა შეიმუშავა პროგრამა, სახელწოდებით „რეინტეგრაციის ერთობლივი მომსახურებები", რომელიც თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თქვენს სამშობლოში. ამ ორგანიზაციებს რეინტეგრაციის პროცესში დახმარების დიდი გამოცდილება აქვთ და მზად არიან, გვერდში დაგიდგნენ, სამშობლოში დაბრუნებისას ცხოვრების სუფთა ფურცლიდან დაწყებისას.

> დაბრუნება რთულად შეიძლება მოგეჩვენოთ. ამან შეიძლება გაგიჩინოთ ბევრი კითხვა და გამოიწვიოს შფოთვა. ასეთ კითხვებზე პასუხის პოვნაში დაგეხმარებათ სპეციალიზებული პერსონალი, როგორიცაა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მრჩეველი. ისინი განგიმარტავენ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ფსიქოსოციალურ საკითხებს და დაგეხმარებიან, მიიღოთ უკეთესი გადაწყვეტილება თქვენი მომავლისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ გესაჭიროებათ განსაკუთრებული ყურადღება, მაგალითად, ხართ არასრულწლოვანი, მეურვის გარეშე ან ორსული ქალბატონი, თუ ხართ ტრეფიკინგის მსხვერპლი, გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემები ან უუნარობა, ან მიემგზავრებით ბავშვებთან ერთად, აუცილებლად ჩააყენეთ დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მრჩეველი საქმის კურსში. მრჩეველი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი პირადი გარემოება იქნება გათვალისწინებული და რომ რეინტეგრაციის პროცესში მიიღებთ თქვენზე მორგებულ დახმარებას.

ვაკმაყოფილებ თუ არა რეინტეგრაციის დახმარების პირობებს?

თქვენ შეგიძლიათ, მიიღოთ რეინტეგრაციის დახმარება, თუ:

ა. **ჯერ არ მიგიღიათ საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება**, სამართლებრივი რეზიდენტობის ან/და საერთაშორისო დაცვის (თავშესაფრის) მოთხოვნაზე და გადაწყვიტეთ დაბრუნება. ამას **ნებაყოფლობით დაბრუნება** ეწოდება.

ბ. **უკვე მიიღეთ საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება**, ან/და ე.წ. „დაბრუნების გადაწყვეტილება", რომლის ფარგლებშიც დაგიწესდათ წევრი ქვეყნის ტერიტორიის დატოვების საბოლოო ვადა. მიიღეთ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების გადაწყვეტილება. ამას ნებაყოფლობით დაბრუნება ეწოდება. ევროპული ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები, სადაც ამჟამად იმყოფებით, შეგატყობინებენ რეინტეგრაციის დახმარების მიღების შესაძლებლობაზე და გაგაცნობენ ქვეყნის ტერიტორიის დატოვების საბოლოო თარიღს.

> თუ გაგაჩნიათ ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება, სამართლებრივი რეზიდენტობის უფლება და/ან საერთაშორისო თავშესაფრის უფლება, **თქვენ არ აკმაყოფილებთ რეინტეგრაციის დახმარების მიღების პირობებს.**

გ. თუ მიიღეთ „დაბრუნების გადაწყვეტილება", როგორც „ბ" ვარიანტშია განმარტებული და გადაწყვიტეთ, რომ არ გაემგზავროთ დაწესებულ ვადაში (ნებაყოფლობითი გამგზავრება). ამ შემთხვევაში, დაბრუნების გადაწყვეტილება ხდება აღსრულებადი და აცნობიერებთ ძალის გამოყენებით დაბრუნების შედეგებს.

გაითვალისწინეთ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილი არიან, გადაწყვიტონ, აკმაყოფილებთ თუ არა რეინტეგრაციის დახმარების მიღების პირობებს, მათი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, რეინტეგრაციის ერთობლივ მომსახურებებში განაცხადით შეტანისას.

რეინტეგრაციის დახმარების რა სახეებია ხელმისაწვდომი?

რეინტეგრაციის ერთობლივი მომსახურებები მოიცავს დახმარების ორ ტიპს:

მოკლევადიანი დახმარება: ჩასვლის მომენტში, მიიღებთ დაუყოვნებლივ დახმარებას პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც მოიაზრებს აეროპორტიდან წამოყვანას, მოკლევადიან საცხოვრებელს, სამედიცინო დახმარებას, ტრანსპორტირებას, ოჯახთან დაკავშირებასა და მცირე ფინანსურ დახმარებას.

გრძელვადიანი დახმარება: რეინტეგრაციის გეგმის შემუშავება შეიძლება მოიცავდეს 12 თვემდე ხანგრძლივობის პერიოდს. თქვენი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მრჩეველი მასპინძელ ქვეყანაში და ჩვენი ორგანიზაცია თქვენს წარმოშობის ქვეყანაში თქვენთან ერთად განიხილავენ საუკეთესო გზებს და შეთანხმდებიან მათი აღსრულების მეთოდებზე, სამშობლოში თქვენი დაბრუნების შემდეგ. გრძელვადიანი რეინტეგრაციის დახმარების მაგალითებია:

- გრძელვადიანი საცხოვრებელი და დაკავშირებული ხარჯები
- რეგულარული სამედიცინო დახმარება
- განათლება (სკოლა ან პროფესიული სწავლება)
- კარიერული კონსულტაცია და სამუშაო ბაზარზე წვდომის ხელშეწყობა
- დახმარება მცირე ბიზნესის წამოწყების პროცესში
- ოჯახთან გაერთიანება
- სამართლებრივი კონსულტაცია და ადმინისტრაციული მხარდაჭერა
- ფსიქოსოციალური მხარდაჭერა

ორივე შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ სპეციალიზებულ მხარდაჭერას რეინტეგრაციის პარტნიორისგან, რომელიც თვალყურს მიადევნებს თქვენი რეინტეგრაციის გეგმის შესრულებას და შეიძლება დაგეხმაროთ სხვა ორგანიზაციებში გადამისამართებით.

რას უნდა მოველოდე დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მრჩევლისგან?

დაბრუნების მრჩეველთან პირისპირ კონსულტაციის დროს, მიიღებთ საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ დაბრუნების რა შესაძლებლობები გაქვთ, აგრეთვე, მხარდაჭერის ვარიანტებზე და დახმარებას რეინტეგრაციის პროცესში. თქვენს მრჩეველს გააჩნია თქვენს დასახმარებლად საჭირო უნარები და შეუძლია, პასუხი გაგცეთ ნებისმიერ კითხვებზე. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჰკითხოთ თქვენი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის მრჩეველს, თუ რა უფლებები გაქვთ, განაცხადის კონტექსტში. კონსულტაციის დროს, შეგიძლიათ მოითხოვოთ თარჯიმნის დახმარება, თუ კარგად ვერ საუბრობთ მრჩეველის ენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებით რეინტეგრაციის პროცესში დახმარების მიღებით, თქვენი მრჩეველი შეაგროვებს განაცხადის შეტანისთვის საჭირო ინფორმაციას. თქვენ უნდა უზრუნველყოთ ინფორმაცია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე, ოჯახის წევრებსა და მათ შესაძლო საკონტაქტო ინფორმაციასა და ადგილმდებარეობაზე. მიწოდებული ინფორმაცია დამუშავდება მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით. აუცილებლად ჩააყენეთ მრჩეველი საქმის კურსში, თუ რაიმე განსაკუთრებული საჭიროება გაქვთ.

განაცხადის შეტანის პროცესში მოგთხოვენ ფორმის შევსებასა და Frontex-ისთვის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მიცემას. ეს ინფორმაცია საჭიროა, რომ რეინტეგრაციის პარტნიორმა შეძლოს თქვენი პიროვნების დადასტურება და გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ მიზნით, ევროპული მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის შესაბამისად

შენიშვნები

რას უნდა ველოდო (ადგილობრივი) რეინტეგრაციის პარტნიორისგან?

რეინტეგრაციის პარტნიორი აიღებს პასუხისმგებლობას თქვენს საქმეზე, თქვენი წარმოშობის ქვეყანაში. თუ თქვენ მოითხოვეთ მოკლევადიანი დახმარება, შესაძლოა, პარტნიორი დაგხვდეთ აეროპორტში და დაგეხმაროთ პირველადი საჭიროებების მოგვარებაში. თუ დახმარება გრძელვადიანი პერიოდითაც მოითხოვეთ, ჩვენი რეინტეგრაციის პარტნიორი კონტაქტზე იქნება თქვენთან და შეძლებთ, მისგან მიიღოთ კითხვებზე პასუხები. ნუ მოგერიდებათ ჩვენს პარტნიორთან დაკავშირება. გამოიჩინეთ ინიციატივა რეინტეგრაციის პარტნიორთან დაკავშირებისას, თუ გაქვთ შეკითხვები ან ეჭვები.

!

გაითვალისწინეთ:

- **რეინტეგრაციის პარტნიორი ან მისი ადგილობრივი პარტნიორები დაგეხმარებიან, საშუშაო საათების განმაკლობაში.**
- **დაუშვებელია შეურაცხმყოფელი და/ან ხელისშემშლელი ქცევა რეინტეგრაციის პარტნიორისა და ადგილობრივი პარტნიორების მიმართ.**
- **რეინტეგრაციის პარტნიორი ვერ გადაჭრის თქვენს ყველა პრობლემას; მას შეუძლიათ მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული დახმარების უზრუნველყოფა.**
- **განაცხადის შეტანისთვის დაგჭირდებათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.**
- **განაცხადის შეტანის პროცესის დასასრულებლად, უნდა მოაწეროთ ხელი თანხმობის ფორმას.**

დაუკავშირდით რეინტეგრაციის პარტნიორს თქვენს ქვეყანაში

საჭირო ინფორმაცია განთავსებულია მოცემულ ვებსაიტზე →

FPI-23.0027_KA

PRINT / TT-05-23-164-KA-C / ISBN 978-92-9406-395-3 / doi 10.2819/929891
PDF / TT-05-23-164-KA-N / ISBN 978-92-9406-391-5 / doi 10.2819/81917